

წმინდა ბასილი დიდი  
(ბიობრაზია)

ანტიკური მწერლობის დარგებიდან ქრისტიანმა მოაზროვნეებმა უწინარესად რიტორიკული პროზა გამოიყენეს და უხვად ისარგებლეს მისგან ქრისტიანული მოძღვრებისა და იდეების გავრცელებისა და განმარტებისათვის. ქრისტიანს, რომელსაც სწამს, რომ სამების მეორე პირი, ღმრთისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შობილი ძე, ანუ სიტყვა ღმერთია, განსაკუთრებით კარგად ესმის სიტყვის ძალა და მნიშვნელობა. მით უმეტეს მაშინ, როცა მისით ღმრთიერი მოძღვრება და ჭეშმარიტებაა გადმოცემული. პაულე მოციქული, ქრისტეს მორწმუნეებს, რომელთაც ყოველდღიური ბრძოლა უხდებათ ამა სოფლის მპყრობელ ბნელ ძალებთან, მოუწოდებს ჩვეულებრივი მეომარივით შეიარაღდნენ, ოღონდ მისგან განსხვავებით არა მატერიალური, არამედ სულიერი საჭურველით: „შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისად..., ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისად..., ჩაფხუტი იგი ცხორებისად დაიდეთ და **მახვილი იგი სულისად, რომელ არს სიტყუად ღმრთისად** (ეფ. VI, 14-17).

განკაცებულმა სიტყვა ღმერთმა იესო ქრისტემ ამქვეყნად მოღვაწეობისას თავად მისცა მაგალითი მის მიმდევრებსა და მორწმუნეებს იმისა, როგორ უნდა გამოეყენებინათ სულიერი მახვილი – სიტყვა მისი მოძღვრების გასავრცელებლად და დასაცავად.

როცა ზემოთ ქრისტიან მწერალთა მიერ ანტიკური რიტორიკული პროზის გამოყენება და მისით უხვად სარგებლობა ვახსენეთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფორმა – სიტყვის აგების ხერხები და მხატვრული საშუალებანი ვიგულისხმეთ. მეთოდოს პატარელის დიალოგის „ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ“ ანალიზის მაგალითზე ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ იყენებდა ქრისტიანი მწერალი ანტიკური მჭევრმეტყველების მიღწევებს საკუთარი რელიგიური და ზნეობრივი მრწამსის გადმოსაცემად. მე-4 საუკუნეში ქრისტიანული რიტორიკის განვითარება ერთგვარად დააჩქარა ერთი-მეორის მიყოლებით წარმოშობილმა ერესებმა; ქრისტიან მოაზროვნეებს ახლა უკვე ბრძოლა ორ ასპარეზზე უხდებოდათ. თავად მაცხოვრისაგან ბოძებული ღმრთიერი სწავლება მათ არა მხოლოდ წარმართული რელიგიისა და ფილოსოფიის მიმდევართაგან უნდა დაეცვათ, არამედ თანამოსახელეებისაგანაც, რომელნიც, თუმცა თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, მაგრამ ქრისტეს მოძღვრების სიწმინდის შესალახად და ასამღვრევად ყოველ ღონეს ხმარობდნენ და არცერთ ხერხს არ უკადრისობდნენ. მათგან ყველაზე მძიმე შედეგები არიოზობამ მოიტანა. აღექსანდრიელმა მღვდელმა არიოზმა დაუფარავად მიიტანა იერიში სამების მეორე ჰიპოსტასზე – ძე ღმერთზე და მისი მამასთან ერთარსობა უარყო. სამწუხაროდ, კონსტანტინე დიდისაგან განსხვავებით, მისი მომდევნო იმპერატორები არიოზის მწვალებლური მოძღვრებისაკენ იხრებოდნენ, სახარების განმარტების სურვილი ხალხსაც გადაედო, ყველას უნდოდა ესწავლებინა და არავის – ესწავლა.

თუ დევნა წარმართი იმპერატორების მხრიდან და იდეოლოგიური ბრძოლა წარმართობასთან ქრისტიანებს ერთ მეგობრულ ოჯახად ამჭიდროვებდა, ერესის

ბოროტება იმაში იყო, რომ თავად ქრისტიანებს აშორებდა ერთმანეთს შეგნებულად დათესილი ღვარძლითა და სიძულვილით.

სწორედ ამ რთულსა და მძიმე პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა ბასილი დიდს, მსოფლიო ეკლესიის მოძღვარსა და მასწავლებელს. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ნათლად წარმოგვიდგენს დიდი ქრისტიანი მოაზროვნისა და მწერლის დიდებულ პიროვნებას. ერესებთან ბრძოლაში იგი ურყევი და მტკიცე იყო, ღარიბებისა და ჩაგრულთა დიდად გულუხვი და მოსიყვარულე, ღუმილი მისი კეთილშობილური იყო, ხოლო ქადაგებანი – გენიალური, სულიწმიდის მადლით აღბეჭდილი. ზედწოდება **დიდი** მან მიიღო იმ ფასდაუდებელი ღვაწლის გამო, რომელიც მართლმადიდებლური რწმენისა და ეკლესიის სიტყვითა და საქმით დაცვაში მიუძღვის.

ბასილი დიდი დაიბადა 330 წელს მცირე აზიაში, პონტოში, როგორც ვარაუდობენ, ან საგვარეულო მამულში, ან პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში. ბასილი დიდის ცხოვრების გადმოცემასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ეროვნული წარმოშობის საკითხი. „წმიდა ბასილის ცხოვრებაში“, რომელიც ტრადიციით ამფილოქე იკონიელს მიეკუთვნება, ათენში სწავლის მისაღებად წასულ ბასილზე ნათქვამია: „მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანად თვისი, რამეთუ კაბადოკიელი იყო ნათესავით და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენს“.<sup>1</sup> ნათესავით კაბადოკიელი გულისხმობს არა იმას, რომ იგი ამ მხრიდან იყო, არამედ იმას, რომ იგი მოდგმით, ტომით იყო კაბადოკიელი. იმის გარკვევაში, თუ, კერძოდ, რომელი ხალხი უნდა ვიგულისხმოთ „ნათესავით კაბადოკიელში“, ისტორიკოსები მოგვეხმარებიან. პირველი საუკუნის მოღვაწის იოსებ ფლაბიოსიდან მოყოლებული ბიზანტიელი ისტორიკოსები: ევსტათი ანტიოქიელი (IV ს.), თეოდორიტე კვირელი (V ს.), კონსტანტინე პორფიროგენეტოსი (X ს.), ლეონ გრამატიკოსი (XI ს.) გადმოგვცემენ, რომ ეთნიკურ ტერმინ კაბადოკიელში მესხი იგულისხმება.<sup>2</sup> თუკი

<sup>1</sup> ხელნაწერი – 1103, 120 რ.

<sup>2</sup> **იოსებ ფლავიოსი:** „მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაბადოკიელები ეწოდათ“. მისივე ცნობით, ამ ხალხის უძველესი სახელწოდება მოსოხენ-მესხი, მისი დროისათვის, ჯერ კიდევ ჰქონია შემორჩენილი მათ დედაქალაქს, რომელსაც მაზაკა ეწოდებოდა. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. I, თბ., 1961, გვ. 271.

**ევსტათი ანტიოქიელი (280-360):** ნოეს შთამომავალი ოსოხისაგან მესხები, დღევანდელი კაბადოკიელები წარმოიშვნენ“. იქვე, ტ. I, გვ. 35.

**თეოდორიტე კვირელი (393-457)** ესაიას წიგნის (66,19) განმარტებისას გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველი მოსოხს კაბადოკიელებს უწოდებს, ხოლო თობელს – იბერებს. იქვე, გვ. 221-222.

**კონსტანტინე პორფიროგენეტოსი (913-959):** „ეს სახელი (ე. ი. კესარია გ. კ.) დაერქვა დიდი იულიუს კეისრისაგან... წინათ ერქვა მაზაკა, კაბადოკიელთა პირველწინაპრის – მოსოხისაგან“. გეორგიკა, ტ. IV, თბ., 1952, გვ. 299.

**ლეონ გრამატიკოსი (XI ს.):** „თობელისაგან – თობელები (წარმოიშვნენ), რომელთაც ახლა იბერნი ეწოდებათ; მესხოსაგან – მესხები, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათ, საიდანაც არის მაზაკა მათი დედაქალაქი“. გეორგიკა, ტ. V; თბ., 1963, გვ. 3-4.

ბასილი დიდს მისი ცხოვრების აღმწერი ეროვნებით კაპადოკიელად თვლის, ხოლო ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში კაპადოკიელები მესხებს ეწოდებათ, დასკვნის გამოტანა ადვილად შეიძლება: იგი მესხი ანუ ქართველი ყოფილა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას იძლევა გრიგოლ ნაზიანზელი „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“. გრიგოლ ღმრთისმეტყველი იხსენებს წმ. ბასილის ჩასვლას ათენის წარმართულ აკადემიაში სწავლის მისაღებად და იმ დამოკიდებულებას, რომელიც მის მიმართ სომხებმა გამოამჟღავნეს. კერძოდ, მათი გულისწყრომა გამოუწვევია იმ უპირატესობას, რომელსაც, „ამ უცხოელისა და ახალ მოსულის მიმართ“, ამჟღავნებდნენ.<sup>3</sup> ბასილი დიდი ბერძენი რომ ყოფილიყო, ათენში სომხები მას უცხოს ვერ უწოდებდნენ.

სხვა ფაქტების მოყვანაც შეიძლება ბასილი დიდის ქართველობის მხარდასაჭერად. მაგალითად, მისი პირადი წერილების გულდასმით შესწავლამ საფუძველი მოგვცა დაგვესკვნა, რომ თუმცა, როგორც მოღვაწე, ბერძნულ სამყაროს ეკუთვნოდა, თავის თავს მისგან განსხვავებულად, კაპადოკიელად წარმოადგენდა, რაც სრულიად ეთანხმება ჰაგიოგრაფის ცნობას იმის თაობაზე, რომ იგი მოდგმით, ეროვნებით, კაპადოკიელი ანუ მესხი იყო. კაპადოკიას იგი ყოველთვის სამშობლოს, მამულს (patrie) უწოდებს და არა იმპერიის მხარეს, რეგიონს (CWra). და თანაც ფრიად განიცდის, რომ იგი იმპერიისაგან მუხლებზე დაჩოქილი და ჩაწიხლულია (74-ე და 83-ე წერილები).<sup>4</sup> ამასთან, კეთილშობილი და სათნო თვისებებით შემკული კაპადოკიელებით, რომელნიც მაღალი ზნეობით უცხო მხარეში არა მხოლოდ თავიანთ თავს, არამედ სამშობლოსაც წარმოაჩენდნენ, თავი მოაქვს (165-ე წერილი),<sup>5</sup> ხოლო საპირისპირო შემთხვევაში წუხს და ბოდიშს იხდის, როგორც ამას წმ. ათანასე ალექსანდრიელისადმი მიწერილ წერილში (61-ე) ვკითხულობთ.<sup>6</sup> ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშვნა იმ დიდი და გამორჩეული სიყვარულისა, რომლითაც ბასილი დიდი სარგებლობს საქართველოსა და ქართველ ხალხში და ჩვენთან არსებული ტრადიციისა, რომელიც მას ქართველად მიიჩნევს.

ბასილი დიდის ეროვნული წარმომავლობის გასარკვევად დიდად საყურადღებო ცნობა ვიპოვეთ მისსავე თხზულებაში „სულიწმიდის შესახებ“, რომელიც მან

<sup>3</sup> PG, t. 36, სვ. 517. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა“, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გვ. კოპლატაძემ, საქართველოს ეკლესიის 2016 წლის კალენდარი, სსგ. თბ., 2015 წ. გვ. 135.

<sup>67</sup> PG, t. 32, სვ. 445-ე და 461-ე.

<sup>5</sup> იქვე, სვ. 745-ე: „ჩემი სიხარული გაადრმავა არა მხოლოდ იმან, რომ შენ მართლაც ისეთი ხარ, როგორც ყველა წარმოგახსახავს; არამედ იმანაც, რომ შენი მშვენიერი თვისებები ჩვენს სამშობლოსაც ამკობენ, რადგან შენ, მსგავსად ამწვანებული რტომსა, რომელიც კეთილშობილი ფესვისაგან აღმოცენდა, უცხო მხარე სულიერი ნაყოფებით აავსე. ამიტომაც თავმომწონეობს ჩვენი მამულიც სამართლიანად თავისი გაჩენილებით“.

<sup>6</sup> იქვე, სვ. 416, „წავიკითხე წერილი შენი სიწმინდისა, რომელშიც გამოსატე მწუხარება ლიბიის მხედართმთავრის გამო, კაცისა, რომლის სახელიც საძულველია. ჩვენ ჩვენს სამშობლოსაც ვწუხვართ, რადგან იგი ასეთი უვარგისი ადამიანების დედა და აღმზრდელია“.

წმინდა ამფილოქე იკონიელის თხოვნით, სულიწმიდის წინააღმდეგ მიმართული ახლადწარმოშობილი ერესის სამხილებლად დაწერა.

სულიწმიდის დასამცირებლად ერეტიკოსები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ, რადგან, წმინდა წერილის მიხედვით, ყოვლადწმინდა სამების დიდებისმეტყველებაში სულიწმიდასთან მიმართებით წინდებული *ἐκ* (-ში, -ზე, -ურთ) გამოიყენება და არა წინდებული *sun* (-თან, -ურთ), ამიტომ სული წმიდა მამასთან და ძესთან ერთად კი არ იდიდება (დიდება მამასა და ძესა სული წმიდასთან ერთად), არამედ მამა და ძე მის მიერ ან მისით იდიდებიან (დიდება მამასა და ძესა სულიწმიდისა მიერ, ან სულიწმიდით (*ἐκ τῆς ἀγίου Πνεύματος*). მაგრამ წინდებული *ἐκ*, შენიშნავს ბასილი დიდი, წმინდა წერილშივე ხშირად იხმარება მნიშვნელობით – ურთ, და, ამრიგად, სინონიმურია *sun* წინდებულისა, რასაც იგი მოხმობილი მაგალითებითაც ამტკიცებს. მაშასადამე, *ἐκ τῆς ἀγίου Πνεύματος* ნიშნავს **სულიწმიდითურთ** და ამდენად იგივეობრივია გამოთქმისა სულიწმიდასთან ერთად. ხოლო ხშირად, მისი დაკვირვებით, სამების დიდებისმეტყველებაში წინდებული საერთოდ არაა გამოყენებული და იგი შეცვლილია კავშირით *καί*; **(და)**: დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ბასილი დიდი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად არა მხოლოდ ძველ წერილობით ძეგლებს, არამედ მის თანამედროვე ცოცხალ ენებსაც მიმართავს და იხსენებს, როგორ უთხრა ერთმა მესოპოტამიელმა, რომელმაც ენაც იცოდა და აზრებიც შეურყენელი ჰქონდა,\* რომ მათთან, კიდევაც რომ მოენდომებინა ვინმეს დიდებისმეტყველების სხვაგვარად წარმოთქმა, ვერ შეძლებდა, რადგან მშობლიური ენის მიხედვით, იგი კავშირით და (*καί*) წარმოითქმებოდა; და აქვე უმატებს: „და ჩვენც, კაპადოკიელებიც, დიდებისმეტყველებას ადგილობრივ (ე. ი. მკვიდრთა) ენაზე ასე გამოვთქვამთ, რადგან სულიწმიდამ ამ გამოთქმის სარგებლობა ჯერ კიდევ მაშინ, ენების დაყოფისას წინასწარ განტკიცებდა.“<sup>7</sup>

მაშასადამე, ბასილი დიდი პირად წერილებში შემთხვევით არ უწოდებს კაპადოკიას სამშობლოს და იმპერიულ სახელმწიფოში არც მისი ბედი აწუხებს მხოლოდ კაცთმოყვარების გამო. თხზულების ეს ადგილი ეჭვმიუტანლად ადასტურებს ამფილოქე იკონიელის ცნობას იმის თაობაზე, რომ ბასილი ეროვნებით კაპადოკიელი ანუ მესხი იყო და ადგილობრივი ანუ მშობლიური

---

<sup>7</sup> Peri; tou̅ Agiou Pneumato~, თბ., 2013, გვ. 221. XXIX. 74 Sources chretiennes. 17 bis. Paris, 1908 ბასილი დიდი, სულიწმიდის შესახებ. ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გ. კობლატაძემ. საქართველოს ეკლესიის 2014 წლის კალენდარი. გვ. 221, Kai; Kappadokai de; ou̅tῶ legomen egcwriw~, e̅t̅i tote e̅k t̅h̅i t̅w̅n glwsswn diaires̅ei to; e̅k t̅h̅- lexew- crhsimon probleyamenou̅ tou̅ Pneumato~. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ადგილი ასე იკითხება თხზულების „სულიწმიდის შესახებ“ ფრანგულსა და რუსულ თარგმანებშიც. C'est ainsi que nous aussi, Cappadociens, nous nous exprimons en notre parler regional, car Lessprit avait de'ja prevu, au temps de la division des langues. იქვე, გვ. 515. И мы Каппадокияне так же выражаемся на туземном своем наречии; потому что Дух тогда еще, при разделении языков, предусмотрел пользу такого образа выражения. Творения Василия великого, М., 1993, гв.348.

ქართული ენაც კარგად იცოდა, თუმცა ამ ენაზე არ წერდა. ძნელი ასახსნელი არც ესაა, ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა მე-4 საუკუნის შუა ხანებში ახალი აღთქმის, ან საერთოდ, რომელიმე ლიტერატურული ძეგლის ქართულ ენაზე არსებობისა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ დროისათვის იგი, როგორც სამწერლობო ენა, ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოხმობილი პირველწყაროების ანალიზთა შედეგად ბასილი დიდის ქართველობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მოღვაწე და ღმრთისმეტყველი, იგი ბერძნული ეკლესიის მღვდელმთავარი იყო და თავის ღმრთივშთაგონებულ თხზულებებსაც ბერძნულ ენაზე წერდა.

დაიბადა წმ. ბასილი მტკიცე ქრისტიანული ტრადიციების მქონე ოჯახში. ქრისტიანები იყვნენ არა მხოლოდ მისი მშობლები, არამედ ბებიაცა და ბაბუაც ორივე მხრიდან. დედის ბაბუამ ქრისტეს აღმსარებლობისათვის ჯერ ქონება დაკარგა, ხოლო შემდეგ სიცოცხლეც. მამის მშობლები კი, მას შემდეგ, რაც იმპერატორი მაქსიმინეს დროს დაწყებული ქრისტიანთა დევნისას ქონება ჩამოართვეს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად შვიდი წლის განმავლობაში პონტოს ტყეებში იმალებოდნენ.

ბასილი დიდის მამასაც ბასილი ერქვა და რიტორიკის ცნობილი მასწავლებელი იყო. იგი მთელს ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ და შეძლებულ კაცად ითვლებოდა. ცოლი მისი ემელია, ცნობილი გვარის შვილი, სილამაზითა და სათნოებით გამოირჩეოდა. ბასილისა და ემელიას ათი შვილი შეეძინათ, ხუთი ქალი და ხუთი ვაჟი. უფროსმა დამ, მაკრინემ, საქმროს სიკვდილის შემდეგ ქალწულობის აღთქმა დადო და მონაზვნად აღიკვეცა, ხოლო ვაჟებიდან სამი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გახდა: ბასილი დიდი, მიტროპოლიტი კესარია – კაპადოკიისა, გრიგოლი, ეპისკოპოსი ნისისა და პეტრე, მღვდელმთავარი სებასტიისა. ამ საკვირველი ოჯახის წევრთაგან ეკლესიამ ექვსი წმინდანად შეერაცხა; და-ძმათაგან: ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, პეტრე სებასტიელი, მაკრინე, თეოზვა და დედა მათი ემელია.\*

**\* ზოგიერთი ცნობით, წმინდანადაა შერაცხული ბასილის ბებიაც, უფროსი ბასილის დედა – მაკრინე.**

წმ. ბასილს პირველდაწყებითი განათლება ბებია მაკრინემ მიაღებინა, რომელიც პონტოში, საგვარეულო მამულში ცხოვრობდა. როცა წამოიზარდა, მისი განათლების შემდგომ საქმეს სათავეში მამა ჩაუდგა. მამის ხელმძღვანელობით ეზიარა ანტიკური კულტურის სილამაზეს. განსაკუთრებული ინტერესი მან ლიტერატურისა და მჭევრმეტყველების მიმართ გამოამჟღავნა, ამიტომ მამამ მისი განათლების სრულყოფისათვის ხარჯები არ დაიშურა და შვილი კაპადოკიის დედაქალაქში, კესარიაში გაგზავნა, რომლის შესახებაც გრიგოლ ნაზიანზელი წერს: „უკეთუ სხვა ქალაქები სხვა, ძველითა თუ ახალი სამკაულებით ხარობენ, ...კესარიას მეცნიერებანი გამოარჩევს, ვითარცა ზედწარწერანი იარაღებსა და თხზულებებს“.<sup>8</sup> აქ შეხვდა იგი გრიგოლ ნაზიანზელს და აქ დაიწყო მათი მეგობრობა. კესარიიდან კონსტანტინეპოლში წავიდა, ხოლო იქიდან – ათენში.

<sup>8</sup> წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი „ეპიტაფია ბასილი დიდისა“. გვ. 130.

მიუხედავად იმისა, რომ ათენი დაცემის გზაზე იდგა, ამ დროისათვის მაინც მეცნიერებისა და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. აქ მოდიოდნენ ახალგაზრდები ყოველი მხრიდან ორატორთა და ფილოსოფოსთა მოსასმენად. გარდა ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველებისა, აქ სწავლობდნენ ისინი ზოგად საგანმანათლებლო საგნებს და გამოყენებით ხელოვნებასაც კი, მაგალითად, მედიცინას. ათენში წმ. ბასილმა დაახლოებით ხუთი წელი დაჰყო, რომლის განმავლობაშიც გულმოდგინედ შეუსწავლია ყველა მეცნიერება. ეს წლები ძირითადად მან თავისი მეგობრის, გრიგოლ ნაზიანზელის გვერდით გაატარა, ისინი ერთად დადიოდნენ სასწავლებელში, ეკლესიაში, ერთად ოცნებობდნენ ასკეტურ მოღვაწეობაზე. ასე რომ, ათენმა ბასილი დიდს მრავალმხრივ განათლებასთან ერთად საუკეთესო მეგობარიც შესძინა. სწავლის დასრულების შემდეგ იგი კესარიაში დაბრუნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა აქ დიდხანს არ დარჩენილიყო, მაგრამ მაინც დარჩა მოქალაქეთა თხოვნით, რომელთაც მისი ორატორული ხელოვნების ნიმუშთა გაცნობა სურდათ. მჭევრმეტყველებამ მას მართლაც დიდი სახელი მოუპოვა და დიდებაც შესძინა. ამგვარმა ცხოვრებამ ისე გაიტაცა, რომ შეშფოთდნენ მისი და – მაკრინე და მეგობრები: გრიგოლ ნაზიანზელი და ევსტათი სებასტიელი. საბედნიეროდ, საერო ცხოვრებით გატაცება დიდხანს არ გაგრძელდებულა. თავად ბასილი დიდი დაწვრილებით აღწერს თავის მდგომარეობას ამ პერიოდში და მას ღრმა ძილს ადარებს. ამ ძილიდან გამოღვიძება სულიერ განათებას ნიშნავდა. დაახლოებით 30 წლის ასაკში იგი მონათლა და მონაზვნური ცხოვრების ახლოს გასაცნობად ეგვიპტეში, პალესტინასა და მესოპოტამიაში იმოგზაურა. მოგზაურობამ მას ასკეტებისადმი მოკრძალება გაუღრმავა და განუმტკიცა გადაწყვეტილება – მიებაძა მათთვის. სამშობლოში დაბრუნებულმა თავისი გადაწყვეტილება აღასრულა კიდევ და დამკვიდრდა უდაბურ, მაგრამ ულამაზეს ადგილას, მდინარე ირისის ნაპირთან. მასთან ერთად იყო ყველა მისი ახლობელი, ვისაც მონაზვნური ცხოვრება ეწადა. რაც შეეხება გრიგოლ ნაზიანზელს, იგი მხოლოდ დროდადრო მიდიოდა, რადგან ღრმად მოხუცებულ მშობლებს პატრონობა და ყურადღება სჭირდებოდათ. მისი თანამონაწილეობით ბასილმა თავისი მონასტრისათვის შეადგინა წესდება, რომელიც შემდეგში აღმოსავლეთის მონასტრებისათვის სანიმუშო გახდა. ბერების ყოველდღიურ ყოფაში ღოცვასა და მჭვრეტელობით მდგომარეობას ფიზიკური შრომა ენაცვლებოდა, რომელიც სულიერ ძალებს ერთგვარად ასვენებდა. მონასტრის საქმიანობაში შედიოდა, აგრეთვე, ქველმოქმედება და ორივე სქესის ბავშვების აღზრდა.

წმიდა ბასილი თავის სულიერ ძმებს მკაცრი მონაზვნური ცხოვრების მაგალითს თვითონ აძლევდა. მისი საწოლი შიშველი მიწა იყო, ხოლო ძილისათვის განკუთვნილ დროს ხშირად ღოცვაში ატარებდა; იკვებებოდა პურითა და მარილით, სვამდა მხოლოდ წყალს. გრიგოლ ღმრთისმეტყველს, რომელიც ხშირად აკითხავდა თავის მეგობარს და რამდენიმე ხნით რჩებოდა კიდევ მასთან, ამ განმარტოებულ ცხოვრებაზე როცა ისინი ტანჯვითა და მძიმე ცხოვრებით ერთად ნებივრობდნენ, საუკეთესო მოგონებები შემორჩა. თავის თხზულებათა დიდი ნაწილი ბასილი დიდმა აქ დაწერა; გრიგოლთან ერთად აქ შეისწავლა

საფუძვლიანად ორიგენეს თხზულებები და მასთან ერთად შეადგინა ცნობილი წიგნი „ფილოკალია“ – კრებული სისტემურად დალაგებული ორიგენეს იმ გამონათქვამებისა, რომელიც ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისათვის საჭირო და გამოსადეგი იყო. მაგრამ ამგვარი განმარტოებული ცხოვრებით სულიერი ნებივრობა და ტკობა დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, რადგან ერეტიკული მიმდინარეობებისაგან შევიწროვებული ეკლესია აქტიურ მოღვაწეობას მოითხოვდა.

განმარტოების მეორე, 359 წელს წმ. ბასილი კესარიის ეკლესიაში წიგნის მკითხველი გახდა. კესარიის ეპისკოპოსი დიანიოსი მასში თავის მემკვიდრეს ხელავდა, მაგრამ ამ კეთილშობილური გეგმის განხორციელება თავად მისმავე დაუფიქრებელმა საქციელმა გადადო. მართალია, არა შეგნებულად, მაგრამ მან მაინც მოაწერა ხელი რწმენის არიოზულ სიმბოლოს, რომელიც რიმინში მიიღეს 359 წელს და რომელიც არიოზელმა იმპერატორმა კონსტანციმ ეპისკოპოსებს თავს ძალით მოახვია. მართალია, ეს ნაბიჯი დიანიოსს არა სარწმუნოების მტრობამ, არამედ ეკლესიაში მშვიდობის დამყარების კეთილშობილურმა სურვილმა გადაადგმევინა, მაგრამ მისმა საქციელმა ბასილი მაინც გაანაწყენა და იგი კვლავ განმარტოვდა, ჯერ ნაზიანზში გრიგოლ ღმრთისმეტყველთან, ხოლო შემდეგ თავის მონასტერში, პონტოში, მაგრამ მოვლენების განვითარებამ მოხუც ეპისკოპოსთნ შერიგება აიძულა. 361 წელს იმპერატორი კონსტანცი გარდაიცვალა და ტახტზე წარმართობის თაყვანისმცემელი იულიანე ავიდა, რომელმაც ეკლესია კვლავ დევნილის მდგომარეობაში ჩააყენა. სიბერით დაუძღვრებულ დიანიოსს ეკლესიის ინტერესების აქტიურად დაცვისათვის ძალა აღარ შესწევდა. ამიტომ მან ბასილი დაიბარა, დაარწმუნა, რომ არიოზულ მრწამსზე ხელი მხოლოდ ეკლესიაში ერთობის აღდგენის წრფელმა სურვილმა მოაწერინა და ისინი შერიგდნენ.

362 წელს დიანიოსი გარდაიცვალა და ხალხმა ეპისკოპოსად მაგისტრაცი ევსევის არჩევა მოინდომა, რომელიც, მართალია, ზნეობით გამოირჩეოდა, მაგრამ არა მხოლოდ საღმრთისმეტყველო განათლება აკლდა, არამედ მონათლულიც კი არ იყო. უფროსმა გრიგოლ ნაზიანზელმა მღვდელმთავრებს ურჩია, ხალხისთვისაც გაეწიათ ანგარიში და ევსევის ღირსებებისთვისაც. ამიტომ მღვდლმთავრებმა ჩაცხრა, ევსევი მონათლა და კესარიის საეპისკოპოსო კათედრა ჩაიბარა. შეგნებული ჰქონდა რა თავისი მდგომარეობა, მან ბასილი, რომელსაც, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს, არასოდეს ჰქონია მისწრაფება ხელისუფლების მოპოვებისაკენ და რომელსაც არა თუ უდევნია პატივისათვის, არამედ, პირიქით, თვითონ იყო დევნილი პატივისაგან, თანაშემწედ მიიწვია და 364 წელს მღვდლადაც აკურთხა.

თუმცა ევსევის უკეთეს თანაშემწეზე ოცნებაც კი არ შეეძლო, მათი ურთიერთობა მაინც გამწვავდა, რადგან ახალგაზრდა მღვდელმა ღმრთისმეტყველების ღრმა ცოდნითა და მჭევრმეტყველების ბრწყინვალეობით მისდაუნებლიედ ეპისკოპოსი ჩრდილში მოაქცია. ბასილმა, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასი ეკლესიაში მშვიდობის შენარჩუნება იყო, ეპისკოპოსთან დაპირისპირებას თავი აარიდა და გრიგოლთან ერთად პონტოს მონასტერში განმარტოვდა.

363 წელს იმპერატორი იულიანე ბრძოლაში დაიღუპა, ტახტზე კვლავ არიოზელი, ამჯერად ვალენტი ავიდა და მართლმადიდებელთა დევნა მოურიდებლად დაიწყო. ურჩი ეპისკოპოსების ძალითა და მუქარით დასამორჩილებლად იმპერატორი პროვინციებში მოგზაურობას შეუდგა. ევსევი მიხვდა, რომ მარტო მისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდა და დახმარება გრიგოლ ღმრთისმეტყველს სთხოვა, რომელიც იმით დაეხმარა, რომ ბასილთან შეარიგა. ბასილი კესარიაში დაბრუნდა და, როგორც გრიგოლი წერს, ევსევისათვის ყველაფერი გახდა: სიბერის კვერთხიცა და რწმენის საყრდენიც. „და იყო საკვირველი ეს თანხმობა და ერთობა ხელისუფლებისა: ერთი ხალხს წინამძღოლობდა, ხოლო მეორე – წინამძღოლს“.<sup>9</sup>

ამ პერიოდში განსაკუთრებული სისრულით გამოძვლავნდა ბასილი დიდის ნიჭი, როგორც მჭევრმეტყველისა, საეკლესიო საქმეთა ორგანიზატორისა და ქველმოქმედისა. მის წარმოთქმულ სიტყვებს უჩვეულო ზემოქმედების ძალას ანიჭებდა სიყვარული ღმრთისა და მოყვასისა, სიწრფელე და განსაკუთრებული უნარი ხატოვანი აზროვნებისა. მაგრამ იგი ქრისტეს სარწმუნოებას მხოლოდ სიტყვით როდი ქადაგებდა. 368 წელს, როცა კაპადოკიას თავს გვალვა და მისგან გამოწვეული დიდი შიმშილობაც დაატყდა, მემკვიდრეობით მიღებული საგვარეულო მამული გაყიდა და კესარიელებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, საზრდოს აწვდიდა. ქრისტიანული სიყვარულის საქმით ქადაგებამ იგი „მთელი ქალაქისათვის მეორე იოსებად აქცია“ (გრიგოლ ღმრთისმეტყველი).

370 წელს, ევსევი გარდაიცვალა. ცხადია, კესარიის საეპისკოპოსო ტახტზე ასვლის ერთადერთი ღირსეული კანდიდატი ბასილი დიდი იყო, მაგრამ მისი მღვდელმთავრად ხელთდასხმა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არიოზელი ეპისკოპოსების სიმრავლის გამო, რომელთათვისაც ნიკეის მრწამსის ცნობილი დამცველი მიუღებელი პიროვნება იყო. მის მოწინააღმდეგეთა რიცხვს ეკუთვნოდა, აგრეთვე, არა მხოლოდ მოსახლეობის მდიდარი ფენა, რომელსაც განუწყვეტლივ ამხედდა, არამედ ბრბოც, ვისაც საციო სანახაობათა სიყვარულისათვის საყვედურობდა.

არჩევნების ბედი, შეიძლება ითქვას, უფროსი გრიგოლის, ნაზიანზის ეპისკოპოსის, ორმა წერილმა გადაწყვიტა, რომლებიც მან ევსევი სამოსატელსა და კესარიელებს მისწერა. ევსევის იგი მისი კესარიაში ჩამოსვლისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობას უსაბუთებდა, ხოლო კესარიელებს ბასილის არჩევისაკენ მოუწოდებდა. თვითონ, მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ წელთა სიმრავლით, არამედ სწეულებითაც დაუძლურებული იყო, კესარიაში თავი საკაცით ჩააყვანინა, რათა ბასილის ხელთდასხმაში მონაწილეობა მიეღო.

როგორც კაპადოკიის დედაქალაქის – კესარიის ეპისკოპოსს, ბასილი დიდს 50 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა. მისი, როგორც მიტროპოლიტის, ძალაუფლება ვრცელდებოდა პონტოში, არმენიაში, გალატიაში, პაფლაგონიასა და ბითონიაში.

<sup>9</sup> PG, t. 36, სვ. 511. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი. „ეპიტაფია ბასილი დიდისა“. გვ. 151.



მისმა არჩევამ მართლმადიდებლებს დიდი სიხარული განაცდევინა, მაგრამ არც მტრები ცხრებოდნენ და უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ. მართალია, მიზანს ვერ მიაღწიეს და მისი გადაყენება ვერ მოახერხეს, მაგრამ გამიზნული ცილისწამებებით წყენაც დიდი მიაყენეს და გულიც ბევრჯერ ატკინეს. სამწუხაროდ, მტრების რიცხვში ზოგიერთი მისი ნათესავიც აღმოჩნდა. ნეოკესარიის ეპისკოპოსმა ატარვიუსმა შეთხზული ჭორებითა და ცილისწამებებით, ნეოკესარიელები აუმხედრა, რომელთა მხარდაჭერა და კეთილგანწყობაც ბასილისათვის **განსაკუთრებით სასიამოვნო იყო**, რადგან მათთან, როგორც თვითონვე აღნიშნავს, **ხორციელი ნათესაობაც აკავშირებდა.**

მას შემდეგ, რაც იგი კესარიის ეპისკოპოსი გახდა. მოშურნენი და მტრები არ ცხრებოდნენ, განსაკუთრებით მძიმე იყო მათი ცილისწამება, ვინც მართლმადიდებლობისაგან გადახვევას აბრალებდა. ყოველდღიურ მძიმე შრომაზე მეტად, როგორც ჩანს, მის ჯანმრთელობაზე ჭორებმა და ცილისწამებებმა იმოქმედეს: მე დავიწყე ცხოვრება, რომელიც არა მხოლოდ ჩემს სხეულს აუძლურებს, არამედ წყენას აყენებს სულსაცო, – წერდა გულნატკენი ძმას – გრიგოლ ნოსელს. ადამიანებზე გულგატეხილს ხშირად ეუფლებოდა სურვილი ფსალმუნის მგალობელთან ერთად ემეორებინა: **ყოველი კაცი ცრუ არს.** მიუხედავად ამგვარი მძიმე ტვირთისა, ქრისტიანულ სათნოებას ერთხელაც არ უღალატია მისთვის. პასუხის გაუცემლად, მოთმინებით იტანდა მტრობას, რამაც ნაყოფიც კარგი გამოიღო. მრავალი ეპისკოპოსის მტრობა მის მიმართ ერთგულებითა და მორჩილებით შეიცვალა. მღვდელმთავრის გასაოცარი უნარი პატიებისა ცილისმწამებლებს აიძულებდა ფეხებში ჩავარდნოდნენ, შენდობა ეთხოვათ და მისთვის პატრიარქი და კანონმდებელი ეწოდებინათ.

წმინდა ბასილის ცხოვრების წესი ბევრს უკარგავდა ცილისწამებათა გავრცელების ხალისს. არ ჰქონდა არავითარი ქონება გარდა წიგნებისა და იმ ტანსაცმლისა, რომელსაც ატარებდა; ცხოვრობდა მეტისმეტად უბრალოდ, ლოცვისაგან თავისუფალ დროს სამუშაოს ანდომებდა: ეპარქიას მართავდა, ქადაგებდა, წერდა, ხალხს ერეტიკული სამოქალაქო ხელისუფლების უსამართლობისაგან იცავდა, მკაცრად დევნიდა დიაკვნებისა და ხუცესების ხელთდასხმას ფულით, რითაც ეკლესიაში ღირსეულ პირთა რიცხვის გაზრდას შეუწყო ხელი. კესარიის მახლობლად მან ააშენა მთელი ქალაქი საქველმოქმედო დაწესებულებებისა; აქ იყო სახელოსნოები, საავადმყოფოები, იზოლირებული თავშესაფრები კეთროვანთათვის და მოგზაურთა მიმღები სახლებიც. ასეთი დაწესებულებანი მისმა ქვეშევრდომმა ქორეპისკოპოსებმაც დააარსეს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეურიგებელი, თავდაუზოგავი ბრძოლა არიოზობასთან, რამაც იგი მართლმადიდებლური ეკლესიის ბურჯად აქცია. იმპერატორმა ვალენტიმ, არიოზელი ეპისკოპოსების თანხლებით, თავისი კარის დიდი მოხელე მოდესტი მიუგზავნა. მოდესტსა და წმიდა ბასილს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც პრეფექტის გაღიზიანებამ და სიძულვილმა ვერ შეარყია სიმშვიდე და სიმტკიცე ეპისკოპოსისა. პრეფექტის ცდა, დაეკოლიებინა ბასილი დიდი არიოზის მიმდევრობაზე ქონების კონფისკაციისა და განდევნის მუქარით, უშედეგო გამოდგა. რომელი ქონება უნდა ჩამოერთვათ, რისი მფლობელი

იყო? შესამოსელი და რამდენიმე წიგნი? ან სად უნდა განედევნათ, სადაც უფალი არ იქნებოდა მისი შემწე და მფარველი? არც სიკვდილის ეშინოდა, რადგან სჯეროდა, რომ ის წარგზავნიდა ღმერთთან, ვისთვისაც ცხოვრობდა და შრომობდა და ვისკენაც მიისწრაფოდა.

კონსტანტინეპოლში დაბრუნებულმა მოდესტმა, რომელიც კესარიის მთავარეპისკოპოსისადმი ერთგვარი პატივისცემით განიმსჯვალა, იმპერატორს მოახსენა, რომ ბასილის როგორც დაშინება, ასევე გადარწმუნებაც შეუძლებელი იყო. მაშინ იმპერატორმა გადაწყვიტა თავად დალაპარაკებოდა ურჩ მღვდელმთავარს და 372 წელს, ღმრთის განცხადების დღესასწაულზე, შუბოსანთა რაზმის თანხლებით კესარიის ეკლესიაში მაშინ შევიდა, როცა ბასილი დიდი წირვას ატარებდა. საღმრთო ლიტურგიის არაამქვეყნიურმა დიდებულებამ და სილამაზემ იგი დააბნია, ხოლო, როცა ღმრთეებრივ ტრაპეზზე ძღვენის მიტანა მოინდომა, მღვდლთაგან კინაღამ წაიქცა. ფიქრობენ, რომ მეფის მღვდლთაგან ბასილი მისდამი თანაგრძნობით განაწყო და „ნიშანი მისცა მიეღოთ ძღვენი იმპერატორისა“.<sup>10</sup> მეფე მეორედაც მივიდა ტაძარში, კრეტსაბმელის შიგნით შევიდა და პირისპირ ესაუბრა ბასილს, რაც დიდი ხანია სურდა. „ხოლო იმის შესახებ, რა უთხრა ბასილმა მეფეს და როგორი სიბრძნისმოყვარეობით... სხვა რა უნდა ითქვას, გარდა იმისა, რომ მეფის მხლებელთაც და ჩვენც, რომელნიც მასთან ერთად შევედით, სიტყვები ღმრთისა მოვისმინეთ?“ – იგონებს გრიგოლ ღმრთისმეტყველი.<sup>11</sup>

ამ საუბარმა იმპერატორზე ისე იმოქმედა, რომ მან კესარიის მთავარეპისკოპოსის დევნა შეწყვიტა, თუმცა მხოლოდ დროებით. რადგან იმპერიის ერეტიკულმა ხელისუფლებამ ბასილი დიდის ვერც გადაბირება და ვერც ეკლესიისათვის ჩამოშორება შეძლო, მისი ძალაუფლების შესაკეცად კაპადოკიის მეტროპოლია ორად გაყო: ერთის დედაქალაქად კესარია დარჩა, ხოლო მეორის ცენტრი ქალაქი ტიანა გახდა. ტიანის მეტროპოლიის მთავარეპისკოპოსის ანთიმოზის „მოღვაწეობის“ მთავარი მიზანი ბასილი დიდის, რაც შეიძლება, მეტად შევიწროვება აღმოჩნდა. იგი იტაცებდა შემოსავლებს, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა მღვდლების გადასაბირებლად, ხოლო უკეთუ ვინმე ურჩობას გაუბედავდა, სასწრაფოდ თავისი მომხრეებით ცვლიდა.

პასუხად ბასილმა ახალი საეპისკოპოსო კათედრები დააარსა იმ ქალაქებში, სადაც ისინი ადრე არ იყო და მართლმადიდებელ მღვდელმთავართა რიცხვის გაზრდას ამ გზით შეეცადა. ასე დააარსა მან საეპისკოპოსო კათედრა პატარა ქალაქ სასიმაში და მის ეპისკოპოსად გრიგოლ ღმრთისმეტყველი აკურთხა. თუმცა, შედეგებიდან გამომდინარე, ბასილი დიდის საეკლესიო პოლიტიკას, რომელსაც ის ერეტიკოსთა მიმართ ატარებდა, გრიგოლ ღმრთისმეტყველი დადებითად აფასებს და აქებს, მაგრამ თვითონ მას სასიმას ეპისკოპოსის მოვალეობა არასოდეს შეუსრულებია.

<sup>10</sup> Православная богословская энциклопедия, т. III, Петроград, 1902, გვ.187.

<sup>11</sup> წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა...“, გვ. 167.

კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტის საზრუნავი მხოლოდ მისი ვრცელი მეტროპოლიის ერთიანობის შენარჩუნება როდი იყო. მისი მოღვაწეობა საერთოდ ერთ წმინდასა და კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაში ერთსულოვნების მიღწევისაკენ იყო მიმართული, რაც მისი სიმტკიცისა და ძლიერების აუცილებელ პირობად ესახებოდა. ამიტომაც სთხოვდა დასავლეთის ეპისკოპოსებს მხარში ამოდგომოდნენ აღმოსავლეთის ეკლესიას, სადაც მწვალებლობა მძვინვარებდა. წერილში, რომელიც, როგორც ფიქრობენ, რომის პაპის დამასისადმი უნდა იყოს მიწერილი, ეკლესიაში ერეტიკოსთაგან შექმნილი აუტანელი მდგომარეობის აღწერას მოსდევს თხოვნა მათთან ბრძოლაში მხარდაჭერისა და გვერდით დგომისა: „დავტირით არა მატერიალურ ნაგებობათა დანგრევას, არამედ ტაძართა წართმევას, ვუყურებთ არა ხორციელ დამონებას, არამედ დატყვევებას სულთა, რომელსაც ერესის ქომაგები ყოველდღე ეწევიან; ამიტომ, თუ ახლავე არ აღიძრებით დასახმარებლად, რამდენიმე ხნის შემდეგ ვეღარ იპოვით იმას, ვისაც თქვენგან ხელის გაწოდება დასჭირდება, რადგან ყველა გაბატონებულ ერესს ეყოლება დამორჩილებული“.<sup>12</sup>

სამწუხაროდ, ბასილი დიდის მცდელობა ახლო ურთიერთობის დამყარებისა დასავლეთის ეკლესიასთან მსოფლიო კრების მიწვევის მიზნით, რომელიც საბოლოო განაჩენს გამოუტანდა არიოზელობას და აღმოსავლეთის ეკლესიას ერეტიკოსების დევნისაგან იხსნიდა, წარუმატებლად დამთავრდა. ამ წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ანტიოქიის ეკლესიაში ჩამოვარდნილი უთანხმოება გახდა. საქმე ის იყო, რომ ანტიოქიას ამ დროს სამი ეპისკოპოსი ჰყავდა: ერთი არიოზელი და ორიც მართლმადიდებელი – პავლინე და მელეტი. მელეტსა და პავლინეს შორის წარმოშობილ დავაში აღმოსავლეთის ეკლესია და თვითონ ბასილი დიდიც მელეტს უჭერდნენ მხარს, როგორც ანტიოქიის ეპისკოპოსად უფრო ადრე ხელთდასხმულს, რომლის მართლმადიდებლობაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა, ხოლო რომის პაპი დამასი და ათანასე ალექსანდრიელი – პავლინეს.

ეკლესიაში მშვიდობის აღსადგენად ბასილი დიდმა დახმარებისათვის ათანასე ალექსანდრიელს მიმართა, ხოლო 372 წელს წერილი გაუგზავნა რომის პაპს, დამასს, მაგრამ უშედეგოდ. ათანასემ ჩაურევლობა ამჯობინა, ხოლო რომის პაპისგან პასუხი არ ჩანდა. მაშინ ბასილმა წერილობით უკვე უშუალოდ დასავლეთის ეპისკოპოსებს მიმართა, რამაც შეურაცხყო დამასი, რომელიც ფიქრობდა, რომ მიმართვა უშუალოდ მისი, როგორც რომის კათედრაზე წმ. პეტრეს მემკვიდრის, სახელზე უნდა გაკეთებულიყო. 376 წელს იმედის ნაპერწკალი გაერთა, რომ კონფლიქტი მოგვარდებოდა, მაგრამ ბასილი დიდის წარგზავნილმა დოროთეოსმა რაღაცით ვერ ასიამოვნა რომს და 377 წელს პაპისაგან საბოლოო პასუხი მოვიდა, რომელიც კესარიის მთავარეპისკოპოსისათვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. დამასმა არიოზის მიმდევრობაში დაადანაშაულა ბასილი დიდის მეგობრები მელეტი და ევსევი სამოსატელი და საქმე პავლინეს სასარგებლოდ გადაწვიტა.

<sup>12</sup> PG, t. 32, სვ. 436.

ასე სამწუხაროდ დამთავრდა ბასილი დიდის თავდაუზოგავი მოღვაწეობა ეკლესიაში მშვიდობის აღსადგენად, რაც მას მსოფლიო კრების მოწვევისათვის აუცილებელ წინაპირობად ესახებოდა. კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტს უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ განხეთქილების წინააღმდეგ მარტოდმარტო იბრძოდა, რადგან აქტიური მხარდაჭერა არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის ეპისკოპოსებისაგან არ ჰქონია. რამდენადაც უკვალოდ არაფერი იკარგება, მისმა მოღვაწეობამ ეკლესიაში ერთსულოვნების მისაღწევად ნაყოფი მაინც გამოიღო, ოღონდ უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, როცა 381 წელს კონსტანტინეპოლში მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა, რომლის მოწვევისთვისაც ამდენი რამ გააკეთა.

ბასილი დიდის სიცოცხლის ბოლო წლები ერთი ხანგრძლივი ავადმყოფობა იყო. ხორციელზე უფრო მეტად იგი სულიერმა ტკივილებმა დააუძღურა, ისე მტკივნეულად განიცდიდა ეკლესიაში არსებულ განხეთქილებასა და მომძლავრებულ ერესს.

„როგორია ჩვენი მდგომარეობა? სიყვარული გაცივდა, სწავლება ჩვენი მამებისა განადგურდა, რწმენის ხომალდი მრავალგზის დაიღუპა, კეთილმორწმუნეთა ბაგენი დადუმდნენ“, – წერდა იგი თესალონიკის ეპისკოპოსს. ეს სიტყვები ეკუთვნის მას, ვინც მცირე აზიაში, ისევე, როგორც ათანასი დიდი ალექსანდრიაში, არიოზობის განმტკიცებისა და გამარჯვების პროცესს წინ აღუდგა და შეაჩერა.

ბასილი დიდი გარდაიცვალა 379 წლის პირველ (14) იანვარს. მისი გარდაცვალების დღეს უფალმა სასწაული დაუშვა. სამედიცინო ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნე ებრაელი იოსები, რომელიც კარგად იცნობდა წმიდანს, ესტუმრა და უწინასწარმეტყველა, რომ მეორე დღემდე ვერ მიაღწევდა. კერძოდ უთხრა, რომ, თუ ხვალამდე იცოცხლებდა, მონათლებოდა იმის სახელით, რომელსაც მხოლოდ თავისი ღმრთეებრივი ძალის წყალობით შეეძლო გაეხანგრძლივებინა მისთვის სიცოცხლე. მაშინ წმიდა ბასილმა უკვე გაცივებული ხელები აღაპყრო და იესო ქრისტეს შეევედრა, მისი მომაკვდავი სხეულისათვის რამდენიმე საათის სიცოცხლე მიეცა, რათა კიდევ ერთი სული გადარჩენოდა წარწყმედას. მეორე დღეს წმიდანი რომ ცოცხალი იხილა, იოსები მისი საწოლის წინაშე მუხლებზე დაეცა და მონათვლის სურვილი გამოთქვა; ავადმყოფმა უპასუხა: „მე თავად მოგნათლაჲ“. ნათლობა სამ საათამდე გაგრძელდა, ამავე დღესვე იგი გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები უფლისადმი იყო მიმართული: „შენს ხელებს გადავცემ სულს ჩემსას“. შემთხვევითი როდი იყო, რომ ბასილი დიდის გარდაცვალებამ ყველა გააერთიანა. მის ცხედარს მიაცილებდნენ ქრისტიანებიც, წარმართებიც და იუდეველებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი ეპარქიის მართვა, ბრძოლა ერეტიკული ხელისუფლების ხელყოფისაგან ეკლესიის დასაცავად და დაუღალავი მოღვაწეობა სამწყსოს გადასარჩენად გონიერ მგელთა მიტაცებისაგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, ბასილი დიდმა მაინც შეძლო აზროვნებისთვისაც მოეცალა და იმგვარი საღმრთისმეტყველო თხზულებანი შეექმნა, რომელთაც მსოფლიო ეკლესიის მოძღვრის სახელი მოუპოვეს. გრიგოლ ღმრთისმეტყველის აზრით, ბასილსაც თავისუფლად მიესადაგება ფსალმუნის სიტყვები, რომელიც პავლე

მოციქულმა მოციქულთა მოღვაწეობის დასახასიათებლად გამოიყენა: „ყოველთა ქუეყანასა განჭდა კმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი“ (რომ. 10,18; ფს. 18,5).<sup>13</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილის შემოქმედებას სამ ძირითად ნაწილად ყოფენ: პირადი წერილები, ზნეობრივ-ასკეტიკური ნაწერები და ქადაგებები.<sup>14</sup> მაგრამ, ვფიქრობთ, ამგვარ დაყოფას უფრო ფორმალური ხასიათი აქვს, ვიდრე რეალური, რადგან ამ თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში გაგვიჭირდება ადგილის მოძებნა ისეთი ვრცელი და მნიშვნელოვანი თხზულებებისათვის როგორცაა მაგალითად, „ვენომიოსის წინააღმდეგ“ და „სულიწმიდის შესახებ“, რადგან ისინი არც ზნეობრივ-ასკეტიკურ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნებიან და არც ქადაგების ფორმით არიან შექმნილნი.

ჩვენი აზრით, საქმის ვითარება ბევრად უფრო რეალურად იქნება ასახული, თუ ბასილი კესარიელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკურ, დოგმატურსა და ზნეობრივ-ასკეტიკურ ტექსტებს გამოვარჩევდით, თუმცა მკაცრი ზღვარის გავლება მათ შორისაც ჭირს. ბასილი დიდის ჰომილეტიკის ერთი ნაწილი ეგზეგეტიკური შინაარსისაა; ასეთია, მაგალითად, ცხრა ჰომილია შესაქმის ექვსი დღისათვის, ფსალმუნთა კომენტარები და ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ზოგიერთი მუხლის განსამარტად წარმოთქმული სიტყვები. მაგრამ რამდენადაც „ფსალმუნთა კომენტარებში“ ზნეობრივი საკითხებიც ხაზგასმულადაა წარმოდგენილი, ამიტომ ჯერ კიდევ ბიზანტიურ ლიტერატურაში ეს თხზულება სხვადასხვა ქადაგებასთან ერთად ერთი საერთო სახელწოდებით იყო ცნობილი – *ta: hġikaı*

კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსს უფალმა ბიბლიის წიგნების განმარტებისათვის განსაკუთრებული ნიჭი უბოძა. როგორც ეგზეგეტიკოსი, შეიძლება ბასილი აღექსანდრიული სკოლის ტრადიციის მიმდევარად ჩაითვალოს, რაც ტექსტის პირდაპირ გაგებულ შინაარსიდან მისი უფრო მაღალი, დაფარული შინაარსის წარმოჩენისაკენ სწრაფვას გულისხმობს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვებისაგან მას ამ შემთხვევაშიც ზომიერება გამოარჩევს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>13</sup> წმ. გრიგოლ დმრთისმეტყველი, „ეპიტაფია ბასილი დიდისა...“, გვ. 182.

<sup>14</sup> S. Y. Rudberg, *Études sur la traditen manuscrite de saint Basile, Sund, 1953*, გვ. 11-12.